ბრძანება:**ბ37.37213443**
თარიღი:**10/12/2021**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსისთვის - (II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) გერმანე ჭანუყვაძისთვის დროებით ფუნქციების დაკისრების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის 3-ე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 2-ე პუნქტის ,,ბ' ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის და ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლისა და 30-ე მუხლის პირველი პუნქტის *შესაბამისად,*

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საინფორმაციო ანალიტიკური და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი (II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) - გერმანე ჭანუყვაძე, გათავისუფლდეს თავისი ძირითადი ფუნქციების შესრულებისაგან და დაეკისროს, ამავე საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილის (II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის) თანამდებობისათვის დადგენილი ფუნქციების შესრულება, 2021 წლის 12 დეკემბრიდან 2022 წლის 1 ივნისამდე და მის თანამდებობრივ სარგოდ განისაზღვროს საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილის (II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის) სარგო სრულად.

მუხლი 2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია მხარეთა გაცნობისთანავე.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი